საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/38

15 თებერვალი, 2023 წელი ქ. ბათუმი

„ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ მარინა მჟავანაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ“ რექტორის 2023 წლის 10 თებერვლის № 01-02/31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, დებულების მე-7-8 მუხლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებებისა (06.02.2023, ოქმი N22-20/3; 13.02.2013, ოქმი N22-20/4) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 23 0000166761, 13.02/2023) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ლიტერატურათმცოდნეობის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **მარინა მჟავანაძის** სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ“ რექტორის 2023 წლის 10 თებერვლის № 01-02/31 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ლიტერატურათმცოდნეობის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. მამია ფაღავა -ბსუ-ს პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);

2.2.მაია კიკვაძე - ბსუ-ს პროფესორი (**მდივანი**);

2.3. შორენა მახაჭაძე-ბსუ-ს პროფესორი;

2.4. მალხაზ ჩოხარაძე- ბსუ-ს პროფესორი;

2.5. ინგა შამილიშვილი -ბსუ-ს პროფესორი;

2.6. მალხაზ ბალაძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.7. მარინე სიორიძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.8. თამილა დავითაძე -ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.9. ნაილე მიქელაძე-ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.“

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ.კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
(რექტორის მოვალეობის შემსრულებელი) **ანზორ ბერიძე**